



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

მნიშვნელოვანი ცვლილებები „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში

2017 წლის 22 მარტს ორგანულ კანონში საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა მიზანია საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა და საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის ორგანოდ სსიპ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრა. სწორედ, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციიდან გამომდინარე, ცვლილებებით განისაზღვრა საქართველოს ეროვნულ ბანკის მთელი რიგი უფლებები და ვალდებულებები.



ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების გამო, გარკვეული სახის ცვლილებები შევიდა საქართველოს სხვა კანონებშიც, მათ შორის:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი
- „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
- „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი
- “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი



კანონპროექტი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, რომლის მიზანია უზრუნველყოს დეპოზიტების დაცულობა ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით.

კანონპროექტი განსაზღვრავს საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის ადმინისტრირების სამართლებრივ საფუძვლებს. არეგულირებს კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ განთავსებული დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევას და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

განსახილველი კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ქვემოთ ჩამოთვლილ კანონებში ცვლილება, კერძოდ:

- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2017 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე (საქმე # 28/6113-15). განსახილველ გადაწყვეტილებაში პალატა ყურადღებას ამახვილებს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის განაწესზე, რომლის თანახმადაც დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ვალდებულების უხეში დარღვევა.

პალატა აღნიშნავს, რომ დამსაქმებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას უფლებამოსილია შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა, აღნიშნული უფლება უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, კანონით გათვალისწინებული განაწესის ზუსტი დაცვით და თანაც, ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ Ultima Ratio - ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. შესაბამისად, პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი დარღვევა, პირის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი არ უნდა გახდეს. შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნას მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნას მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი

gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი

gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაართოთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.